ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „ნიუ ჰაუსი“, ანდრო დოლიძე (577775077)

საფუძველი: 01.08.2013წ. №12/13213220-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი კრწანისი, სკოლა №65-ის მომიჯნავედ

საკ.კოდი: №01.18.06.018.048

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 29.07.2013წ. №807189 (AR1145685); **IV-კლასი**

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (22.08.13) დადგინდა:

„6-10“ ფასადზე: „6-7“ მონაკვეთში „-3.30“ ნიშნულის ქვევით კიბის ქვედა სივრცე არ არის ამოშენებული, ამავე კიბეზე შეცვლილია მოაჯირის ნახატი, ასევე შეცვლილია კარის ნახატი. „6-6“ და „8-8“ ღერძებიდან მარჯვნივ არ არის მოწყობილი მდფ-ის ხის ფაქტურიანი გამათბობლის კარადები. დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები და კონდენციონერი. „7-8“ მონაკვეთში „-6.60“ ნიშნულზე კომუნიკაციის მილი შეფუთულია. „6-7“ მონაკვეთში „+26.40“ ნიშნულზე ფილა გამოსულია კედლის კონტურიდან.

„ა-დ“ ფასადზე: „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ „-6.60“ ნიშნულზე შემცირებულია შეფუთული კანალიზაციის მილის კედლის სიმაღლე. „ბ-გ“ მონაკვეთში „+19.80“ ნიშნულზე გაზრდილია ვიტრაჟის სიგანე და მილკვადრატს მონაცვლებული აქვს ადგილი. „+23.10“ ნიშნულზე კედელში დამატებით მოწყობილია სამი ღიობი და მათზე მოწყობილია ჟალუზები.

„10-6“ ფასადზე: „8-7“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი და გაზრდილია მისი სიმაღლე. „10-10“ და „6-6“ ღერძების მიმდებარედ არ არის მოწყობილი მდფ-ის ხის ფაქტურიანი გამათბობლის კარადები. „7-6“ მონაკვეთში „-6.60“ ნიშნულზე არმატურის ნაშვერები მოსაჭრელია. „6-6“ ღერძის მიმდებარედ საპროექტო შენობასა და გვერდით მდგომ შენობას შორის ტემპერატურული ნაკერი შევსებულია. „+23.10“ ნიშნულზე გაზრდილია ტექნიკური სართულის სიგანე.

ფასადებზე: „-6.60“ ნიშნულზე კედლების ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს.

„-3.30“ ნიშნულზე: „6-7“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ გარე კიბეზე შემცირებულია საფეხურების რაოდენობა.

„+23.10“ ნიშნულზე: შემცირებულია შიდა კიბის უჯრედის გაბარიტები, რის ხარჯზეც გაიზარდა სამანქანო განყოფილების ფართი, ამავე სამანქანოს შესასვლელ კართან დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. „6-10“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები.

გენგეგმაზე: ტერიტორიის კეთილმოწყობა დასასრულებელია, არ არის მოწყობილი გარე კიბე და კაპიტალური კედლების ნაწილი.

ლ. ჯღარკავა

ლ. ცინცაძე